# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ფლიდობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 25 ივნისი, 2010 წელი.

№118 (6484)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## პრეზიდენტ მედვედევთან დაახლოებული იგორ იურგენსი რაღაცაზე პასუხისმგებლობის აღებას საქართველოსაც ურჩევს







3

## „ხალხის პარტიის“ ლიდერი ზურაბ ნოღაიდელთან ურთიერთობას უარყოფს

4





### წყალდიდობამ და სტიქიამ კახეთს კვლავ შეუტია

გადაუღებელი ძლიერი წვიმების შედეგად გურჯაანის, თელავის და სიღნაღის რაიონები დაზარალდნენ.

გურჯაანის რაიონის ორ სოფელში: ახალშენსა და ველისციხეში წყალმა საცხოვრებელი სახლები და ნათესები დატბორა. დაიხოცა შინაური ფრინველი. ძლიერ წვიმას თან ქარიშხალიც დაერთო. დაზიანებულია ელექტროგადამცემი ბოძები. შედეგად გურჯაანის რაიონს ელექტროენერგია ამ დრომდე არ მიეწოდება. მწყობრიდან გამოვიდა სასმელი წყლის სათავეები, რის გამოც სოფლები ნანიანი და ბაკურციხე უწყლოდაა დარჩენილი.

უამინდობის გამო გარკვეული პერიოდი შეფერხებული იყო ტრანსპორტის მოძრაობა თელავი - გურჯაანის მაგისტრალის ახალშენის მონაკვეთზე.

წვიმების შედეგად, კახეთში, 300-ზე მეტი ოჯახი დაზარალადა.

### მდინარე მღვრიე აბობოქრდა

მდინარე მღვრიეს მიდამოებში დიდი მოცულობის მეწყერი ჩამოწვა და თბილისი-გომბორი-თელავის რეაბილიტირებული გზის ნაწილი მთლიანად წაიღო. მეწყერმა დააზიანა წყალმომარაგების მილები, რომლითაც თელავის მოსახლეობას სასმელი წყალი მიეწოდება.

მეწყერის შედეგად დაზიანდა მაღალმთიან სოფლებში გამავალი ელექტროენერგიის გადამცემი ბოძები. საფრთხე შეექმნა მდინარე მღვრიეზე არსებულ 50 მეტრიან ხიდს, რომელსაც მეწყერი მოადგა.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის ვასილ დავითაშვილის განცხადებით, ზარალი საკმაოდ დიდია. მისივე თქმით, საკითხი ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ დაყენებულია ცენტრალურ ხელისუფლებაში და სერიოზული ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.



## ორმოცი დღე უმუხრანოდ



საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე
მამულზე ფიქრი,
ხანდახან გულში
ღიმილით
ვიტყვი: –

რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,
მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს! –
რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!
ანდა რომელი მსაჯული მისი!

პასუხად მყისვე,
ვითარცა სეტყვა,
ვინც კი და რაც კი არსებობს ირგვლივ, –
იხუვლებს ხოლმე,
იხუვლებს ერთხმად –
ღალატიაო
მაგვვარი
ფიქრი!

## ამჟამინდელი სამთავრობო კვინტეტის შეცვლა ან ადგილმონაცვლეობა არ განიხილებაო, მაგრამ მეექვსე პრემიერ-მინისტრისა და მთავრობაში ოპოზიციონერთა გამოჩენას ნამდვილად ელოდებიან

3



## რელიგიური გრძნობების შეურაცხმყოფლები უნდა დაისაჯონ

## აფხაზური პასპორტები რუსეთში იბეჭდება

2

№ 118. პარასკევი, 25 ივნისი, 2010 წელი.

**პრეზენტაცია**

# საკრებულოში „ქრისტიან-დემოკრატიული ფრაქცია“ შეიქმნა

**არჩევნების შემდეგ თბილისის საკრებულო პოლიტიკურად აქტიურ ცხოვრებას შეუდგა. ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენლებმა უკვე დაიკავეს თავიანთი ადგილები და ახლა ბრძოლის გზებს შეიმუშავებენ. არჩევნების წინ ისინი დიდი გულმოდგინებით არწმუნებდნენ ამომრჩევლებს, რომ საკრებულოდან ქვეყნის ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებებს მოახდენდნენ.**

საკრებულოს მნიშვნელობაზე ყველაზე მეტს ქრისტიან-დემოკრატები საუბრობდნენ, სწორედ ისინი იყვნენ პირველები ვინც (დარღვევების მიუხედავად ჩატარებული არჩევნების გამო კმაყოფილება გამოთქვეს. და პირველივე სხდომაზე დასამახსოვრებელი გამოსვლაც ჰქონდათ.



გუშინ კი ქრისტიან-დემოკრატებმა თბილისის საკრებულოში ახალი „ქრისტიან-დემოკრატიული ფრაქცია“ შექმნეს. მას ყოფილი ჟურნალისტი ინგა გრიგოლია უხელმძღვანელებს, მდივნის თანამდებობა ზაზა გაბუნიამ დაიკავა. ფრაქციის წევრი იქნება, ასევე, ჯაბა სამუშია, რომელიც გამოვიდა ინიციატივით, რომ ფრაქციის პარალელურად შეიქმნას საკონსულტაციო საბჭო, სადაც შევლენ ის პირები, რომლებიც ქალაქის პრობლემებს კარგად იცნობენ და მოსახლეობა პირადად მიმართავს პრობლემების მოსაგვარებლად.

**ინგა გრიგოლია, „ქრისტიან-დემოკრატიული ფრაქციის“ თავმჯდომარე:** — დღეიდან „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელიც ფაქტობრივად მარტო იყო ამ შენობაში, ვეუბნებით, თბილისის საკრებულოში ეს პერიოდი დასრულდა. უნდა გაიღოს დახურული კარი. ყველას, ვისაც პრობლემა აქვს, უნდა შეეძლოს ამის შესახებ ფრაქციას შეატყობინოს. ჩვენ ვხსნით ცხელ ხაზსაც. ეს არის 14-36-07, 14-36-09, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები და ჩვენი ამომრჩევლები შეძლებენ გასაჭირის შესახებ ხმა მოგვაწვდინონ.

როგორც ჩანს, „ქრისტიან-დემოკრატები“ იდეების ნაკლებობას არ უჩივიან. ფრაქციის პრეზენტაციაზევე გამოვიდნენ ინიციატივით, რომელიც თბილისის შესახებ ახალი კანონის მიღებას ითვალისწინებს და რომელშიც მკაფიოდ იქნება გამიჯნული თბილისის საკრებულოსა და მერიის ფუნქციები.

— 2005 წლიდან ყოველწლიურად საკრებულოს აკლდებოდა ძალაუფლება, ფუნქცია და ის ემატებოდა თბილისის მერს, ამიტომ ჩვენ გამოვდივართ ინიციატივით, დაიწეროს ახალი პროექტი, სადაც მკაცრად გაიმიჯნება საკრებულოსა და მერიის ფუნქციები, საკრებულოს ექნება მერიის მაკონტროლებელი ფუნქცია, — განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

ქრისტიან-დემოკრატები საკრებულოს შემადგენლობაში შემავალ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობასაც გეგმავენ. არჩევნები დასრულდა და, შესაბამისად, დასრულდა ერთმანეთისადმი ქიშპობა. ახლა თანამშრომლობის დროა, — ასეთია ქრისტიან-დემოკრატების პოზიცია.

საინტერესოა, გაიზიარებენ თუ არა ასეთ ოპტიმიზმს მათი კოლეგები, რადგან ოპოზიცია ისევ გაერთიანებას აპირებს, და თუ ეს მოხდა, ბრძოლის საშუალებად საკრებულოდან ინიციატივების გახმიანება ნამდვილად არ ესახებათ. თავის დროზე ხომ პარლამენტის დეპუტატის მანდატებზეც უარი თქვეს.

საკრებულოში კი ალბათ კიდევ შეიქმნება რამდენიმე ფრაქცია, რომელთა საქმიანობის შედეგი ქალაქს ან ავად ან კარგად ნამდვილად დაეტყობა.

**ანა წიწილაშვილი**

**გუშინდელი ფოსტიდან**

# ჯერ ისიც გასარკვევია, ვინ მარმარილოა და ვინ ტალახი

**ბოლო ხანს არცთუ უგულისყუროდ ვუყურებ ოთხშაბათობით ჟორჟოლიანის ქალის შოუს ძალლითურთ. ბევრ რასმე ჭკუის სასწავლებელს ვიგებ. მაგრამ ნამდვილად გაოცებული დავრჩი ბოლო ოთხშაბათის შოუთი, რომლის სტუმართა „გმირობის ფილოსოფია“ არა მარტო მეუცნაურა, არამედ შეურაცხმყოფიც კი გამოდგა, ჩემი არ იყოს, ალბათ, სხვა ბევრისთვისაც...**

**...ქართველებს თურმე მარტო საცივის შეკმაზმვა და ხაჭაპურის გამოცხობა გვეხერხება, ჩვენი ისტორია უფრო მეტ მოღალატეს იცნობს, ვიდრე სამშობლოსთვის თავდადებულ გმირებს. ანდა გმირები როგორ გვეყოლებოდნენ, როცა სახელმწიფო არა გვქონია, ანუ ქვეყანაში, დღეისაგან განსხვავებით, სახელმწიფო აზროვნება არ ყოფილა. არადა, თუ ადამიანი, ნაციონალური მოძრაობის წევრთა და მხარდამჭერთაგან განსხვავებით, სახელმწიფოებრივად არ ფიქრობს, ის გმირიც ვერ გახდება. ის კი არა, ამ არასახელმწიფოებრივად მოფიქრალ თუ მოაზროვნე ადამიანებს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა გმირებად აღიარებაც კი არ სურთ. უფრო მეტიც. ეს ადამიანები საკუთარ ხელისუფლებას აბრალებენ ომის ატეხას. და კიდევ უფრო მეტისმეტიც. შიდა გორსა და ბევრ სოფელს თურმე თვითონ ჩვენივე ხელისუფლება ბომბავდა. აი, ამ არშემდგარ ადამიანთაგან განსხვავებით, განა რომელიმე თურქი მოქალაქე საქვეყნოდ აღიარებს სომეხთა გენოციდს და ლაფს შეასხამს თავის ქვეყანას?!. კომუნისტები თურმე მეორე მსოფლიო ომში მატროსოვივით კრიმინალებისგან ძმნიდნენ გმირებს. ...ჩვენ თურმე ზემოხსენებული აგვისტოს ომამდე ნამდვილი გმირები არ გვყოლია... ერთი სიტყვით, შოუში სტუმრად მოწვეული ჯარისკაცები დროდადრო ტაშს კი უკრავდნენ (ნამდვილად უკრავდნენ, ჩაწერილი არ ყოფილა!, მაგრამ ერთპირად გაოგნებულები უსმენდნენ ჟორჟოლიანის ქალის მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალთა „იდეოლოგიით დაელექტროებულ“ სტუმრებს, რომელთაგან ერთ-ერთმა ხელისუფლებაცა და ამ ხელისუფლების თავგადაკლული მომხრენიც (რასაკვირველია, უფულენციაობის სენშეყრილნი! იმით დაამშვიდა, რომ თეთრად მოფიფქინე მარმარილოზე ტალახი დიდხანს არა რჩება. ესე იგი, ამჟამინდელი არშემდგარი ადამიანების უკმაყოფილება და ხელისუფლებისთვის ოპოზიციური კრიჭაში დგომა ტალახია, როცა ჩვენ თეთრად მოფითქინე მარმარილო ვართო...**

**მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ძალიან მენიშნა თვითონ ჟორჟოლიანის ქალის ბოლო შენიშვნა: ჩვენ დღეს ისე ვილაპარაკეთ, ალბათ, ხვალ გაგვაკრიტიკებენო. იმედია, ძვირფასი ნანუკა ამ კრიტიკაში ტალახის სროლას სულაც არ გულისხმობდა. მით უმეტეს, არა მგონია, თავის მეღროვე სტუმართაგან განსხვავებით, თავი ფითქინა მარმარილოდ ჰქონდეს წარმოდგენილი.**

**იროდიონ ჩუთლაშვილი,**
სიღნაღი,
24.VI.2010 წ.

**ფარისევლობა**

# რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას თურმე სააკაშვილი უშლის ხელს

**რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი დარწმუნებულია, რომ მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.**

— როგორც კი საქართველოს ახალი ხელმძღვანელი ეყოლება, დარწმუნებული ვარ მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების საშუალება იქნება, — განაცხადა მედვედევმა აშშ საზოგადოებრივი და საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე და რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ორ რეგიონსაც შეეხო.

— რაც შეეხება ტერიტორიების საკითხს, რომლებმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ამისადმი შესაძლოა სხვადასხვა მიდგომები იქნეს გამოყენებული, — განაცხადა მედვედევმა.

მისი თქმით, ვიღაც მიიჩნევს, რომ ეს ტერიტორიები საქართველოს ნაწილებია და ისინი საქართველოს შემადგენლობაში უნდა დაბრუნდნენ.

— ასეთი თვალსაზრისი, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. არის ასევე სხვა თვალსაზრისი. იგი მდგომარეობს იმაში, რომ ამ ორი ტერიტორიის საერთაშორისო აღიარების შემდეგ მათ გაუჩნდათ თავისი, საერთაშორისო სუბიექტის უფლება, — განაცხადა მედვედევმა და დასძინა, რომ ასეთი მაგალითები კაცობრიობის ისტორიაში ძალიან ბევრია.

მე ძალიან მინდა, რომ ჩვენი ურთიერთობები საქართველოსთან ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდეს. მეტიც, მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეც მოხდება იმიტომ რომ უბრალოდ მეზობლებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ და რომლებსაც ძალიან კარგი ურთიერთობები ჰქონდათ, სხვა გამოსავალი არა აქვთ“, — განაცხადა დიმიტრი მედვედევმა და დასძინა, რომ საკითხი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, თუ ეს როდის მოხდება.

— ვერ ვხედავ შანსებს ამის გაკეთებისა საქართველოს მოქმედ პრეზიდენტთან, იმიტომ, რომ მიმაჩნია, რომ იგი ცუდად მოიქცა, ხოლო იურიდიულ ენაზე რომ ვთქვათ მან დანაშაული ჩაიდინა. მისი პასუხისმგებლობის საკითხი კი არა რუსი, არამედ ქართველი ხალხის წინაშე უნდა დაისვას, — განაცხადა მედვედევმა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**ინფორმაცია**

### რელიგიური გრძნობების შეურაცხმყოფლები უნდა დაისაჯონ

**„ლეიბორისტული პარტია“ ითხოვს ადამიანის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა სისხლის სამართლის კოდექსითაც ისჯებოდეს. ამის შესახებ პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.**

მისი განცხადებით, კოდექსში ცვლილებები დაუყოვნებლივ უნდა შევიდეს. „ლეიბორისტების“ აზრით, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა თავდაპირველად ფულადი ჯარიმით უნდა ისჯებოდეს, შემდეგ კი მასზედ სისხლის სამართლის საქმეც უნდა აღიძრას. აღნიშნული მოთხოვნის რეალიზებას „ლეიბორისტები“ პარლამენტს დაჩქარებული წესით თხოვენ. მათ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს წერილობითაც მიმართეს.

### აფხაზური პასპორტები რუსეთში იბეჭდება

**აფხაზური საზღვარგარეთის პასპორტების ბლანკების პირველი პარტია უკვე დამზადდა რუსეთის „გოსზნაკში“ და უახლოეს მომავალში იგი აფხაზეთში ჩამოვა. განცხადება ამის შესახებ სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. შს სამინისტროს საპასპორტო-სავიზო სამსახურის უფროსმა ვალერი მალიამ გააკეთა, თუმცა არ დააკონკრეტა თუ რა რაოდენობის ბლანკებს ჩამოიტანენ სოხუმში.**

მალია ასევე აცხადებს, რომ აფხაზეთის ე.წ. საპასპორტო-სავიზო სამსახური მზადაა „აფხაზეთის მოქალაქის ახალი საზღვარგარეთის პასპორტების დარიგებას შეუდგეს“, თუმცა ეს პროცესი, რომ დაიწყოს, მალია აცხადებს, რომ საჭიროა ახალი სპეციალური კომპიუტერული ბაზა, რომელსაც ახლა კრასნოდარელი პროგრამისტები ამუშავებენ.

ვალერი მალია ასევე აცხადებს, რომ პასპორტების გაცემის დაწყება უკვე ივნისის ბოლოსათვის იქნება შესაძლებელი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**ტერორი**

# ოკუპანტებმა ანჯაფარიძეების ოჯახი ამოწყვიტეს

**ოკუპანტებმა ანჯაფარიძეების ოჯახის კიდევ ერთი წევრი მოკლეს. მალხაზ ანჯაფარიძე გალის იზოლატორში წამებას ემსხვერპლა.**

ოკუპანტთა დაჯგუფება ანჯაფარიძეების ოჯახს თავს ორი დღის წინათ დაესხა. ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა რუსლან პაპბამ სამსაათიანი წამების შემდეგ ცემით მოკლა გოგიტა ანჯაფარიძე მისი ბიძაშვილი ვეფხია ანჯაფარიძე კი უმძიმეს მდგომარეობაში აგუძერის საავადმყოფოშია გადაყვანილი. იგი უგონო მდგომარეობაშია და ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული.

ოკუპანტები ანჯაფარიძეებისგან სოფელ რეფის გამგებლის დიმიტრი კაციას მკვლელობის აღიარებას ითხოვდნენ. ფაქტის დამალვის მიზნით ოკუპანტებმა ოჯახის დანარჩენი წევრები სოფლიდან გაიტაცეს და ისინი გალის პოლიციაში ჰყავთ დატყვევებული.

— დღეს ხანგრძლივი წამების შემდეგ მოკლეს მეორე ძმა ანჯაფარიძე, თუმცა ამის შესახებ სეპარატისტები უმალავენ მათ ახლობლებს და ნათესავებს და მოუწოდებენ თანამშრომლობისაკენ. გარდაცვლილთა ცხედრები გადატანილია პროზექტურაში, — აცხადებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი თორნიკე კილანავა.

◉ საკადრო ცვლილებები

# მეექვსე პრემიერ-მინისტრისა და მთავრობაში ოპოზიციონერთა გამოჩენის მოლოდინში



ვარდების რევოლუციის მთავრობის რიგით მეხუთე პრემიერ-მინისტრს ნიკოლოზ გილაურს, ხვალ პრემიერის პოსტზე ბოლო სამუშაო დღე ექნება და იგი ფინანსთა სამინისტროში დაბრუნდება. ზურაბ ჟვანიას, ზურაბ ნოღაიდელის, ვლადიმერ გურგენიძის, გრიგოლ მგალობლიშვილისა და ნიკოლოზ გილაურის შემდეგ პრემიერ-მინისტრის პოსტს დიმიტრი შაშკინი დაიკავებს.

დემოკრატიის ახალ ტალღას თავის აქტივში შაშკინი ნამდვილად ვერ ჩაიწერს, მაგრამ იგი მაინც განაგრძობს კარიერულ წინსვლას, იმის მიუხედავად, რომ შაშკინმა ვერც ერთ სფეროში (სასჯელაღსრულება და განათლებაძ თავისი პოზიტიური კვალის დატოვება ვერ შეძლო.

შაშკინს უკვე, ფაქტობრივად, დაკომპლექტებული აქვს სახელმწიფო კანცელარიის ახალი შემადგენლობა. კანცელარიაში შაშკინის დიდ ამალას, რომელიც მას სასჯელაღსრულების სამინისტროდან განათლებაშიც გადაჰყვა, მალე ვიხილავთ.

„ჯი-ეიჩ-ენის" ინფორმაციით, გასულ კვირას ფინანსთა სამინისტროში რეორგანიზაციის მოტივით თანამშრომლებს განცხადებები უკვე დააწერინეს. სამინისტროს კულუარებში ღიად საუბრობენ, რომ „ნიკა ბრუნდება" და ეს დაბრუნება ახალი საგადასახადო კოდექსის „გაგებითა" და პროფესიონალის მიერ შესაბამისი ადმინისტრირების მოტივით აიხსნება. თუმცა სარწმუნო წყაროები იმასაც ამბობენ, რომ თავად გილაურს ენერგეტიკის სამინისტროში გადასვლა ერჩია.

ეკონომიკის მინისტრის პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილება და საბოლოო გადაწყვეტილება ჯერაც მიღებული არაა. ვატო ლეჟავა, რომელიც იმთავითვე აღიქმება კახა ბენდუქიძის კადრად, დავით ქარსელაძე, რომელმაც ახლახან დატოვა „ფინანსური პოლიციის" შეფის თანამდებობა, კახა ბაინდურაშვილი, რომელსაც ფინანსთა მინისტრის პოსტის დატოვება უწევს, ეკონომიკის მინისტრის თანამდებობზე განიხილებიან. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული ჯერაც არაა, მით უფრო, რომ პრეზიდენტი წინამორბედი მინისტრების მიერ განხორციელებული საინვესტიციო პოლიტიკით უკმაყოფილო იყო და ამჟამად ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფ რამდენიმე პერსონასთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომლებიც სხვადასხვა საფინანსო და საინვესტიციო ფონდში საქმიანობენ.

გამორიცხული არ არის, ეკონომიკის სამინისტროსთან გაერთიანდეს ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური მართვის სამინისტრო და გაერთიანებულ უწყებას დავით ტყეშელაშვილი ჩაუდგეს სათავეში.

კვლავ დგას დღის წესრიგში ჯანდაცვის მინისტრის საკითხიც. წარუმატებელი სადაზღვევო პოლიტიკა, „ბლოკ ჯორჯიას" თემა და სხვა სოციალური საკითხები, რომელიც ხელისუფლებას მუდმივი თავის მართლების პოზიციაში ამყოფებს, ალექსანდრე კვიტაშვილისთვის საბოლოო ვერდიქტის გამოტანის მიზეზი ხდება.

ჯანდაცვის სამინისტროში ხელისუფლება რეფორმატორული გადაწყვეტილების მიღებას გეგმავს და მინისტრის პოსტს ოპოზიციას, სავარაუდოდ, „ქრისტიან-დემოკრატებს", კონკრეტულად კი მაგდა ანიკაშვილს შესთავაზებს. მისი მინისტრად დანიშვნის საკითხი რამდენიმე თვეა განიხილება, თუმცა აქამდე ფორმა ვერ მოიძებნა. ახლა, როდესაც თბილისის საკრებულოში შესაბამისი კომისია ოპოზიციონერ ვიქტორ დოლიძეს ჩააბარეს, მთავრობა აღებული კურსის ერთგულებას გამოაცხადებს და ანიკაშვილის გამინისტრების ფორმაც მოძებნილი იქნება.

მართალია, აღნიშნული გადაწყვეტილებით ხელისუფლება კიდევ ერთხელ ეტყვის უარს გუბერნატორის პოსტზე ყველაზე დიდი პერიოდით შემორჩენილ ზაზა გოროზიას, მაგრამ თუ მას თანაგუნდელებმა ამჯერად მაინც უერთგულეს, სამეგრელოს გუბერნატორის გამინისტრებაც რეალობად იქცევა. ისე, გოროზიას კანდიდატურა გარემოს დაცვის მინისტრის პოსტზედაც განიხილება. ფაქტია, რომ „მიშა მაგარია" გოგა ხაჩიძისთვის სამინისტროში არსებული დანაშაულებრივი სქემების მიმართ არასათანადო ბრძოლის გამო ინდულგენციად ვერ იქცევა. თუმცა ჯანდაცვის სამინისტროს მსგავსად, შესაძლოა, ეს უწყებაც ოპოზიციის წარმომადგენელს ჩააბარდეს, მით უფრო, რომ გია თორთლაძე დაჟინებით მოითხოვს მისი თანაგუნდელების „ღირსეულად დაფასებას". იგივე სურვილი და მოთხოვნები ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასაც აქვს.

სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელის მიერ თანამდებობის შენარჩუნებისთვის გადადგმულ ნაბიჯად განიხილება მის მიერ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის სასწრაფო წესით გათავისუფლება. თუმცა რამდენად უშველის კვეზერელს ეს საკადრო გადაწყვეტილება, ჯერაც უცნობია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს განათლების მინისტრის პოსტი, სადაც დიმიტრი შაშკინი მის ერთ-ერთ ამჟამინდელ მოადგილეს მოიაზრებს. შაშკინი კატეგორიულად ეწინააღმდეგება მინისტრის პოსტზე მაია მიმინოშვილის დანიშვნას, რომელსაც ხელისუფლებაში საკმაოდ ბევრი ლობისტი ჰყავს. ამიტომაც განათლების მინისტრის კანდიდატურა ყველაზე ბოლოს შეთანხმდება.

სავარაუდოდ, ცვლილება შეეხება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს. მინისტრმა კალმახელიძემ ნამდვილად ვერ გაამართლა თავისი მომხიბვლელობით გაცემული ავანსები და პენიტენციური სისტემა „ვარდების რევოლუციის" მთავრობის ერთ-ერთ მტკივნეულ თემად რჩება. განიხილება წინადადება სამინიტროს იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში შესვლის შესახებ. ერთადერთ წინააღმდეგობას სასჯელაღსრულებისა და პროკურატურის ერთი სამინისტროს ქუდის ქვეშ არსებობა წარმოადგენს. თუ ანალოგიების საფუძველზე მისი დაძლევის შესაძლებლობა მოიძებნა, ამ რეორგანიზაციის განხორციელებაც ცხელი ზაფხულის პირობებში მოხდება.

ბოლო ხანს აქტუალური გახდა არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანობისთვის" ხელმძღვანელის ვერა ქობალიას პერსონა. მისი კანდიდატურა ხან აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ, ხან ეკონომიკის, ხანაც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად გაჟღერდა. ასე რომ, არ არის გამორიცხული, ქობალია რომელიმე სამინისტროს, უფრო კი აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ ვიხილოთ.

ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, ნიკოლოზ რურუა, გრიგოლ ვაშაძე და ბაჩო ახალაია – ამ ეტაპზე ის კვინტეტია, რომელთა შეცვლა ან ადგილმონაცვლეობა ნამდვილად არ განიხილება. სხვათათვის კი, შესაძლოა, ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყოს.

**გოჩა მირცხულავა,**
„ჯი-ეიჩ-ენი"

◉ ეთნოკონფლიქტები

# „რუსეთი საქართველოს მიმართ ხშირად არასწორად და მკაცრად იქცეოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს რაღაცაზე თქვენც აიღეთ პასუხისმგებლობა"



***რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის ვაშინგტონში დაგეგმილი ვიზიტის სავარაუდო შედეგებზე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა და კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი" პრეზიდენტ მედვედევთან დაახლოებულ იგორ იურგენსს ესაუბრა. იგორ იურგენსი თანამედროვე განვითარების ინსტიტუტს ხელმძღვანელობს, რომელიც თავის დროზე თავად მედვედევმა დააფუძნა და ახლა ამავე ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობს.***

**– ბატონო იგორ, რას უნდა ველოდოთ აშშ-ში პრეზიდენტ მედვედევის ვიზიტისგან?**

– რამდენადაც ვიცი, აშშ-ში პრეზიდენტ მედვედევის ვიზიტისთვის საკმაოდ დიდი პროგრამა მზადდება. დაგეგმილია სილიკონის ველის მონახულებაც. მხარეები განიხილავენ რუსეთის მოდერნიზაციის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების საკითხებს, გაგრძელდება დისკუსია ყველა იმ საკითხზე, რაც საერთაშორისო უსაფრთხოებას უკავშირდება, ასევე – ბირთვული განიარაღების, ირანის, ყირგიზეთის, ავღანეთის, ჩრდილოეთ კორეის შესახებ. როგორც ხედავთ, პრეზიდენტებს საკმაოდ დიდი დღის წესრიგი ექნებათ.

ჩემი აზრით, მედვედევის ვიზიტი აშშ-ში მისი მორიგი პროდუქტიული ვიზიტი იქნება და მხარეები თანამშრომლობაზე ყველა იმ საკითხზე შეთანხმდებიან, რაშიც ვაშინგტონი და მოსკოვი ინტერესს ავლენენ.

**– იზიარებთ თუ არა მოსაზრებას, რომ აშშ-სა და რუსეთს შორის გადატვირთვა საქართველოსა და უკრაინის ხარჯზე მოხდა? ობამას მიერ საქართველოს შესახებ გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, აღიარებს თუ არა ვაშინგტონი პოსტსაბჭოთა სივრცეზე მოსკოვის დომინირებას?**

– არა მგონია, რომ ვინმემ ვაშინგტონში ამ კითხვაზე დადებითად უპასუხოს. გავლენის სფეროები მეორე მსოფლიო, უფრო „ცივი ომის" დროინდელი პერიოდის სასაუბრო ენა იყო. ასე მიიჩნევენ მოსკოვშიც.

რაც შეეხება ინტერესებს, ისინი კვლავ არსებობს. ინტერესები აქვთ, როგორც ქართველ, ისე უკრაინელ და რუს ხალხებს და მათ ხელმძღვანელებს. მე რომ ამერიკელი ვიყო, მეცოდინებოდა, რაში უნდა გავითვალისწინო რუსეთის ინტერესები, თუ რუსეთისგან მხარდაჭერა მინდა ისეთ საკითხებში, როგორებიც არის ავღანეთის, ირანის, ახლო აღმოსავლეთის, ბირთვული იარაღის შემცირების საკითხები, არქტიკის სივრცის ერთობლივად ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა. სხვათა შორის, ახლა საუბარია ერთობლივი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნაზეც. თუ ამ საკითხებში ვაშინგტონს მოსკოვისგან მხარდაჭერა სურს, თეთრმა სახლმა იცის, რომ უნდა გაითვალისწინოს კრემლის ინტერესები იმ საკითხებში, რომელთა მიმართაც დაინტერესებას ავლენს და მათზე, შესაბამისად, დადებითად უპასუხოს. ეს ეხება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტურ რეგიონებსაც, რომელშიც რუსეთს არ სურს, აშშ-მა ხელი შეუწყოს ვითარების გამწვავებას.

არავითარი გავლენის სფეროები არ არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ ესტონეთი, ლიტვა ან ლატვია რუსეთის გავლენის სფეროა? რა თქმა უნდა, არა. ეს ეხება საქართველოსაც და უკრაინასაც. უკრაინა მხოლოდ იმ თვალსაზრისით შეიძლება ჩაითვალოს რუსული გავლენის სფეროდ, რომ უკრაინა რუსული გაზისა და ნავთობის მიმართ ინტერესს თავად ავლენს. სხვა თვალსაზრისით, არავითარი გავლენის სფეროები არ არსებობს.

**– ამერიკული პრესის შეფასებით, აშშ შეეგუა საქართველოს დანაწევრებას და საქართველო ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის გადატვირთვის პოლიტიკის მსხვერპლია. თქვენ ეთანხმებით ამგვარ შეფასებას?**

– რა თქმა უნდა – არა. თუ ვინმეა საქართველოში რამეს მსხვერპლი, ეს ის ხალხია, ვინც ეთნოკონფლიქტებით დაზარალდა. რუსეთს კონფლიქტების გაღვივებაში მონაწილეობა არ მიუღია. აფხაზებს და ოსებს ქართველებთან ცხოვრება არ უნდათ. მე არ ვსაუბრობ, რომ თავის დროზე რუსეთის იმპერატორებმა და ცკ-ს გენერალურმა მდივნებმა შეცდომები დაუშვეს, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანდა.

მე ვარ ადამიანი, რომელსაც კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება სურს, ვმონაწილეობ ყველა არაფორმალური ფორმატის შეხვედრებში, რომელზეც ცდილობენ რამე პოზიტიური ნაბიჯის გადადგმას. მაგრამ, როცა მერკელი მოსკოვში გამარჯვების აღლუმში მონაწილეობს, წითელ მოედანზე ნატოელმა ჯარისკაცებმა გაიარეს, ამ ფონზე კი სააკაშვილი ქუთაისში „დიდების მემორიალს" ანგრევს, ეს მოსკოვმა არ უნდა შეამჩნიოს? თქვენ რა, არ ამჩნევთ, რომ არსებობენ, როგორც ქართული, ისე რუსული ვეტერანთა ორგანიზაციები, რომლებიც კითხულობენ, როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს? ასე რომ, მოდით, ყველაფერს კონსტრუქციულად მივუდგეთ.

**– სააკაშვილმა არა ერთხელ გააკეთა განცხადება, რომ მზად არის მოსკოვთან დიალოგისათვის, მაგრამ კრემლი მის განცხადებებს უკეთეს შემთხვევაში უპასუხოდ ტოვებს. თქვენი აზრით, რატომ არ არიან მზად მხარეები დიალოგისთვის?**

– არ ვიცი. მე არაერთი ქვეყანა მოვიარე, რათა ყველასთვის მომეწოდებინა, მშვიდი რეაქცია ჰქონოდათ იმაზე, რაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ხდებოდა. დიალოგის არარსებობის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ორივე მხარე ერთმანეთით იმედგაცრუებული და ერთმანეთზე ნაწყენია. თქვენთან და ჩვენთან ხელისუფლებების არსებული კონსტრუქციის პირობებში, ვგულისხმობ პიროვნებებს, სიტუაციის გამოსწორების იმედები არ უნდა გვქონდეს.

**– ასეთ ფონზე პრემიერ-მინისტრი პუტინი ქართული ოპოზიციის ლიდერებს ხვდება. ეს შეხვედრები საქართველოში დიდი მითქმა-მოთქმის თემაა და ყველა კითხულობს, რას უმზადებს პუტინი საქართველოს?**

– რუსეთის ხელისუფლება ესაუბრება ყველას, ვინც მასთან შეხვედრას მოისურვებს. ალბათ პრემიერ-მინისტრ პუტინს ოპოზიციის ლიდერებმა სთხოვეს შეხვედრა და მათ პარს ხომ არ მიუხურავდა. ჩემს მისაღებში ვინც მოდის და შეხვედრას ითხოვს, მეც ვიღებ. მე ყველას ერთნაირი გულწრფელობით ვესაუბრები საქართველოს თემაზე – იქნებიან ეს ადამიანები საქართველოს საელჩოდან თუ – ქართული ოპოზიციიდან.

იხ. 4 გვ.

## ეთნოკონფლიქტები

# „რუსეთი საქართველოს მიმართ ხშირად არასწორად და მკაცრად იქცეოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს რაღაცაზე თქვენც აიღეთ პასუხისმგებლობა“

(მესამე გვერდიდან)

რაც შეეხება იმას, თუ რას უნდა ელოდოთ. ნამდვილად არ ვიცი. პირადად მე რაც ვიცი საქართველოზე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, გრიგორი კარასინს ვუკავშირდები და ვაცნობ, რომელიც ჟენევის პროცესში მონაწილეობს. თუ ჩემთან, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთან, თქვენები საინტერესო წინადადებებით მოვლენ, მზადა ვარ, მათთან ვითანამშრომლო, მაგრამ მე კანონმორჩილი ადამიანი ვარ და ვითვალისწინებ, რომ რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას უკან არ გაიწვევს. მიუხედავად ამისა, მე ადრეც გითხარით, — არასოდეს არ თქვა არასოდეს. ცხოვრება გრძელდება.

**— ქართული ოპოზიციის ლიდერებს პუტინი ხვდება და არა მედვედევი, ეს რას შეიძლება ნიშნავდეს, საქართველოს საკითხებს პირადად პრემიერ-მინისტრი პუტინი კურირებს?**

— შეგიძლიათ დაასახელოთ ვინმე, ვინც ქართული ოპოზიციის ლიდერებიდან მედვედევთან შეხვედრა ითხოვა და არ მიიღეს? პირადად მე ასეთ ინფორმაციას არ ვფლობ.

**— თუ მედვედევის კარზე ვინმემ დააკაკუნა, პრეზიდენტი მედვედევი მიიღებს. სწორად გავიგე?**

— მე პრეზიდენტისა და პრემიერის ნაცვლად გადაწყვეტილებებს არ ვიღებ.

**— ქართული ოპოზიციის ლიდერები, ვინც მოსკოვს ხშირად სტუმრობენ, აცხადებენ, რომ სააკაშვილი, მერაბიშვილი და უგულავა კრემლთან მისასვლელ გზებს აქტიურად ეძებენ, მაგრამ არაფერი გამოსდით. ამის შესახებ რა ინფორმაციას ფლობთ?**

— მე არ ვიცი, რა ჟესტებით ცდილობენ ისინი კრემლთან დაახლოებას. გაზეთ „ჰერალდ ტრიბუნ“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილმა განაცხადა — ძალიან კარგი, რომ რუსეთმა საქართველოს რუსული ბაზარი დაუკეტა. საქართველოს თავისი პროდუქცია გააქვს ჩინეთში, თურქეთში... თუ ასეა, ძალიან კარგი. ასეთ ვითარებაში არაფერი მსმენია იმის შესახებ, რომ თბილისი მოსკოვს რამეს სთავაზობდა.

თუ ვინმე არის უკმაყოფილო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით, რომლებმაც რუსეთის მფარველობა ითხოვეს, ეს ჩვენი პრობლემა არაა. თქვენ რა, ეჭვი გეპარებათ, დღეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რეფერენდუმი რომ ჩაატაროთ, ისინი თავის გაცხადებულ აზრზე არ დარჩებიან და საქართველოში დაბრუნება მოუნდებათ?

**— კი ბატონო, ჩავატაროთ რეფერენდუმი მას შემდეგ, როცა აფხაზეთში 300 ათას დევნილზე მეტი დაბრუნდება... ეუთოს ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტებმა აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნოწმენდა აღიარეს. სხვათა შორის, თავის დროზე აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნოწმენდა რუსეთმაც აღიარა...**

— ქართველები იქ არ იყვნენ, ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება რომ დაიწყო? რუსი სამშვიდობოების აფხაზეთში განლაგება სწორედ იმისთვის გახდა საჭირო, რომ საომარი მოქმედებები არ განახლებულიყო. თქვენ ესაუბრებით ადამიანს, რომელიც სოხუმში 1978 წლის ზაფხულში აფხაზების დემონსტრაციაზე მოსკოვიდან მაშინ ჩაფრინდა, როცა იქ ცკ-ს მდივანი კაპიტონოვი იმყოფებოდა. მე მაშინ პროფკავშირებში ვმუშაობდი და მახსოვს, რა განწყობები ჰქონდათ აფხაზებს. მაშინ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დარჩენილიყო.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსეთი საქართველოდან გავიდა, საქართველო აფხაზურ პრობლემას ვერ გაუმკლავდა და ახლა ეს ჩვენი პრობლემა აღარ არის. ჩვენ, გადასახადის რუს გადამხდელებს, საქართველოს ამ პრობლემებისგან „გვასლოკინებს“ კიდეც. ჩვენ არ გვაწყობს ის, რაც იქ ხდება. ეს არ უნდათ არც ლიბერალებს, რომელთაც თავს მეც მივაკუთნებ და არც ნაციონალისტებს, რომლებიც მძულს, მაგრამ ისინი საკმაოდ ძლიერები არიან.

ვიცი, რომ რუსეთი საქართველოს მიმართ ხშირ შემთხვევაში არასწორად და მკაცრად იქცეოდა, მაგრამ




ყველაფერში მართლები არც თქვენ ხართ, ახლა კი ყველაფრის რუსეთისთვის დაბრალებას ცდილობთ. საქართველოს თავისი წილი დანაშაულის თავის თავზე აღება არ უნდა და ასე არ შეიძლება. ბოლოს და ბოლოს, რაღაცაზე მაინც თქვენც აიღეთ პასუხისმგებლობა.

**— თქვენ გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ვითარება უნდა განელდეს. საჭიროა გაგება, რომ მას შემდეგ, რაც 2008 წლის აგვისტოში მოხდა, ამ ხელისუფლების პირობებში კარდინალური გადაწყვეტილებები მიღებული არ იქნება. ხალხმა გადაწყვიტოს, როგორი ლიდერები სჭირდება. მანამდე კი უნდა გაგრძელდეს ჟენევის მოლაპარაკებათა პროცესი.

თქვენ გინდათ, რომ რუსეთმა თქვას — შევცდი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არ უნდა მეღიარებინა, საქართველოს ვუბრუნებ ამ რეგიონებს, ოღონდ მან ყველაფერი ცივილიზებულად გადაწყვიტოს. მე თავს ლიბერალად მივიჩნევ, მაგრამ არ მჯერა, რომ კრემლი ასეთ გადაწყვეტილებებს მიიღებს.

გენიალური იქნებოდა ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ყველას დააკმაყოფილებდა, მაგრამ ამგვარი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას ჯერ ვერ ვხედავ. ჯერ ვერ ვხედავ, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარეების ცენტრალური ხელისუფლებები — მხედველობაში მაქვს საქართველოსა და რუსეთის მხარეები, ამ კონფლიქტების გადაწყვეტის სურვილს ავლენდნენ. ასევე, ვერ ვხედავ სამოქალაქო საზოგადოების ინტელექტუალურ სიძლიერეს, რომელსაც ხელისუფლებაზე გავლენა ექნებოდა. ჯერ ვერ ვხედავ იმ იდეებს და ინტელექტუალურ ხალხს, რომლებიც ამ იდეებს, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში გაახმოვანებდნენ. ადამიანებს, რომლებიც ჩართულნი არიან სხვადასხვა ფორმატების შეხვედრებში, კარგად ესმით, რომ პრობლემები რეალპოლიტიკის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს. რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოსთვის უბრალოდ დაბრუნება არ შეუძლია. ჭრილობები უნდა შეხორცდეს.

მსოფლიოში უამრავი კონფლიქტია, რომელთა გამოცდილების გამოყენება შესაძლებელია. მოდით, ვიფიქროთ იმაზე, როგორ გადაწყვიტეს ინგლისელმა ლორდებმა ირლანდიური პრობლემა. შეიძლება ბასკების მაგალითის შესწავლაც. პრობლემა იმაშია, რომ ამას ოფიციალური ხელისუფლება ვერ გააკეთებს, ვინაიდან მას ე.წ. სეპარატისტებთან საუბარი ეკრძალება. მოდით, ვეძებოთ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ზედაპირზე არ დევს, მაგრამ შეიძლება კონსტრუქციული აღმოჩნდეს.

**— ბატონო იგორ, პირადად თქვენ კონსტრუქციულობაში რას გულისხმობთ?**

— უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია, თუ ვინ დაკავდება ამ პრობლემებით და ვინ დააფინანსებს ამ საქმიანობას. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ვინ გაახმოვანებს უკვე აკუმულირებულ აზრებს ისე, როგორც ეს საჭიროა, ანუ ისე, რომ არ მოხდეს ჭრილობების გაღვიძება. მე ვესაუბრე კოლეგებს ეუთოში, ევროკავშირში და ნატოში. სხვათა შორის, ამ სტრუქტურებში ძალიან ბევრი საღად მოაზროვნე ადამიანია, მაგრამ ვხედავ, რომ ჯადოსნური ჯოხი ხელში არავის უჭირავს.

მოდით, ვეძებოთ ყველაზე არაორდინარული გადაწყვეტილებები, რომელთაც ანალოგები აქვთ მსოფლიოში არსებულ და ჯერაც გადაუჭრელ 24-მდე კონფლიქტში. საჭირონი არიან ძალიან ობიექტური და ინტელექტუალური ადამიანები, რომლებსაც ძალიან უნდათ ბედნიერება როგორც ქართველების, ისე რუსების, აფხაზებისა და სამხრეთელი ოსების. ჯერ ვერ ვხედავ ისეთ კეთილსინდისიერ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც მზად იქნებიან, ამ საკითხების გადაწყვეტას მოახმარონ წლები და შესაძლოა, მთელი სიცოცხლე. ყველა ინტელექტუალურ ან პოლიტიკურ სარგებელს ეძებს. ასე რომ, ასეთ ინტელექტუალურ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მზადაა, ამ საკითხებს მიუძღვნას მთელი თავისი საქმიანობა, ჯერ არაა ჩამოყალიბებული. მე კი ისღა დამრჩენია, — ვიჯდე და ველოდო.

**კობა ბენდელიანი**

## გაყრა

***„ეროვნული საბჭოს“ წარმომადგენელი, „ხალხის პარტიის“ლიდერი კობა დავითაშვილი საბჭოს უკვე ყოფილ წევრთან, ექს-პრემიერ ზურაბ ნოღაიდელთან „იდეოლოგიური ერთობის არარსებობაზე“ საუბრობს.***

# „ზურაბ ნოღაიდელთან იდეოლოგიური ერთობა არასოდეს არ გვქონია“

სწორედ ამ გარემოებას ასახელებს დავითაშვილი დღემდე „ეროვნულ საბჭოში“ შემავალი სამი სუბიექტის იმ გადაწყვეტილების მიზეზად, რომ საბჭო მხოლოდ „კონსერვატორებისა“ და „ხალხის პარტიის“შემადგენლობით გააგრძელებს მოქმედებას.




**„როგორც იცით, ჩვენს და „კონსერვატორების“ მიერ ინიცირებულ საარჩევნო პრაიმერს თავის დროზე, სამწუხაროდ, მხოლოდ ზურაბ ნოღაიდელი გამოეხმაურა. სწორედ ამ ფაქტორმა განსაზღვრა საარჩევნოდ მისი შემოსვლა „ეროვნულ საბჭოში“, იდეოლოგიური ერთობა კი ნოღაიდელთან არასოდეს გვქონია. დამეთანხმეთ, გაცილებით იოლია საარჩევნო ბლოკში ერთად ყოფნა, ვიდრე განსხვავებული იდეოლოგიური შეხედულებების მქონე სუბიექტების მიერ მყარი პოლიტიკური კოალიციის ჩამოყალიბება. ასე რომ, მომხდარში გასაკვირი არაფერია. ასეთი განწყობები ჩვენში დიდი ხანია იყო და ამის შესახებ ინფორმაციაც ჟონავდა“,** — განუცხადა „პირველს“ დავითაშვილმა.

მისივე აზრით, „მყარი პოლიტიკური კოალიციების ჩამოყალიბებას გაცილებით უფრო მჭიდრო ერთობა სჭირდება, როგორიც „ხალხის პარტიას“, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მხოლოდ „კონსერვატორებთან“ აქვს“. **„პირადად ჩემთვის არსებობს ასეთი კოალიციების ჩამოყალიბების ორი გზა: გაერთიანება იდეოლოგიური ერთობის პრინციპით, ან დემოკრატიული შერჩევა, იგივე პრაიმერი. ასეთი ერთობის მისაღწევად, მერწმუნეთ, ძალიან ბევრი ვიბრძოლეთ, თუმცა სხვა ოპოზიციურმა ძალებმა ეს არ ისურვეს. იდეოლოგიური ერთობა ჯერჯერობით მხოლოდ „კონსერვატორებთან“ გვაქვს, მეორე გზა კი — პრაიმერი, სამწუხაროდ, მხოლოდ სამპარტიული გამოგვივიდა, რასაც, ბუნებრივია, სასურველი ეფექტი არ ჰქონია“,** — განმარტა დავითაშვილმა.

ერთ-ერთ საკითხად, რომელშიც „კონსერვატორებისა“ და „ხალხის პარტიის“ მოსაზრებები ნოღაიდელის პოზიციისგან დიამეტრალურად განსხვავდებოდა, მან მცირე მეწარმეების დაცვის და ამ მიზნით ფიქსირებული გადასახადების შემოღების თემა დაასახელა. **„ამ საკითხზე ყოველთვის ცხარე კამათი გვქონდა. ნოღაიდელი ფიქსირებული გადასახადის დაწესებას ყოველთვის კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, რაც ჩვენთვის, ვინც მცირე მეწარმეთა უფლებების დაცვაში საკუთარი სისხლი და ოფლი ჩააქცია, პრინციპული საკითხია“,** — განმარტა „ხალხის პარტიის“ ლიდერმა.

მისივე თქმით, იყო აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სხვა შიდა პოლიტიკურ საკითხებზეც, რუსეთის თემაზე კი სამი პოლიტიკური სუბიექტის შეხედულებები თანმხვედრი იყო.

კითხვას, ხომ არ დაუსვა წერტილი „ეროვნულ საბჭოში“ ნოღაიდელის ყოფნას მის მიერ ირაკლი ოქრუაშვილთან, ლევან გაჩეჩილაძესთან და სხვებთან ერთად ახალი ოპოზიციური გაერთიანების ჩამოყალიბების მცდელობებმა, დავითაშვილმა უარყოფითად უპასუხა, თუმცა აქვე დასძინა, რომ „ეროვნულ საბჭოში“ დარჩენილი „კონსერვატორები“ და „ხალხის პარტია“ ახალ ოპოზიციურ გაერთიანებაში ჩართვის საკითხის განხილვას უახლოეს მომავალში არ აპირებენ.



**„ამ საკითხს სადღეისოდ ნამდვილად არ განვიხილავთ, არც შესაბამისი კონსულტაციები გვქონია. ვნახოთ, რა იქნება მომავალში. თუმცა კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჩვენთვის ნებისმიერი პოლიტიკური კოალიციის ჩამოყალიბების საფუძვლად იდეოლოგიური ერთობა რჩება, ასეთს კი ამ ძალებთან ჯერჯერობით ვერ ვხედავთ“,** — დასძინა მან.

შეგახსენებთ, რომ მოძრაობის „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი, ყოფილი პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ლიდერთან ლევან გაჩეჩილაძესთან და თავდაცვის ყოფილ მინისტრთან ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად ახალ ოპოზიციურ გაერთიანებაზე მუშაობს, დღეიდან „ეროვნულ საბჭოში“ აღარ ირიცხება.

**„პირველი“**

ეპიტაფია

## მუხრან მაჭავარიანი: ქართული ქართველთ რწმენაა! ღმერთია! ბედისწერაა! ზღვა როა, იმოდენაა!

# მთაწმინდის მკვიდრი მარადი

თავისი ცხოვრების ბოლო ციცაბო აღმართი აიარა მუხრანმა და... კი არ წაიქცა რეალურ სცენაზე, ჩაიმუხლა, რათა ახალი აღმართის დაურვებას შესდგომოდა მთაწმინდისკენ. და ჰა, დინჯად (როგორც იცოდა), სვენებ-სვენებით, მაგრამ ღირსეულად ამაღლდა. ამიერი სამყაროდან გადასახლდა იმიერში – საქართველოს სათაყვანო შვილთა საბრძანისში. ოსანა, მუხრან, ოსანა!

რამდენიმე შტრიხი მინდა გავიხსენო მისი ცხოვრებიდან.

დეკემბერია 1949 წლისა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ზამთრის პირობაზე – თბილი დღეა, მზიანი. პირველი კორპუსის კარებიდანვე შევნიშნე შვიდი ჭადრის ხეივნიდან როგორ შემოუხვია ეზოში ოციოდე წლის მუხრან მაჭავარიანმა. მოასფალტებულ მცირე აღმართს შეუდგა, ამაყად ჩაუარა ილიას, ვაჟას ძეგლებს და ზედ კარებთან შევხვდით ერთმანეთს. ფიქრიანი სახე ჰქონდა, მაგრამ თვალები უბრწყინავდა. დაგრძელებული ქოჩრის მარცხენა ნახევარი გაპარსულ ლოყაზე ეღიტინებდა. შოთა სად არისო! ნიშნიანიძეზე მკითხა. შოთა და მუხრანი დიდი მეგობრები იყვნენ ახალგაზრდობაში. რომ გაიგო, დღეს არ გამოცხადებულაო, შეწუხდა, სხივი ჩაუქრა თვალებში, შებრუნდა და წასვლა დააპირა. ბოლოს, ვეღარ მოითმინა (ვინმესთვის ხომ უნდა ემცნო!) და თავისი „საბა“ წამიკითხა, რა თქმა უნდა, ზეპირად (როგორც ყოველთვის!). რა ბედნიერი ვიყავი მაშინ! ნუთუ მე მოვისმინე პირველად ქართული პოეზიის შედევრი „საბა“?!

მერე, დიდი ხნის შემდეგ, ვკითხე მუხრანს – გახსოვს, მე რომ წამიკითხე-მეთქი „საბა“ პირველს?

არ მახსოვსო.

მაინც ბედნიერი და ამაყი ვიყავი!

* * *

1955 წელს გამოვიდა მუხრანის პირველი კრებული „ლექსები“, რომელიც „სახელგამმა“ გამოსცა 5.000-იანი ტირაჟით; რედაქტორი გიორგი (გიგლა) ხუხაშვილი.

მაშინ აფხაზეთში ვმასწავლებლობდი... თვალი გადავავლე გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ ახალ ნომერს და ელდა მეცა – კრიტიკოს ლეილა დადიანს გაზეთის მთელ გვერდზე „მიწასთან გაუსწორებია“ ახალგაზრდა მუხრანის ორიგინალური შემოქმედება.

ვაფრინე წერილი თბილისში, მწერალთა კავშირში, მუხრანის სახელზე – თუ მანდ დამიბეჭდავენ, მე გავცემ-მეთქი პასუხს კრიტიკოს ქალბატონს...

მუხრანმა არც მე მიპასუხა და არც დადიანის ქალს. არ ჩათვალა საჭიროდ. მე მგონი, სწორადაც!

* * *

2007 წელს საერთაშორისო ფონდ „ქართუს“ ფინანსური მხარდაჭერით „ინტელექტმა“ (დირექტორი კახმეგ კუდავა) გამოსცა მუხრანის „თხზულებანი ოთხ ტომად“, რომლის რედაქტორია პოეტის ასული ნანა მაჭავარიანი. ოთხტომეულში შევიდა პოეტის ლექსები, ბულგარული პოეზიის ანთოლოგიის თარგმანი, ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილები და ვრცელი ენათმეცნიერული (ასაწყობად ურთულესი) ნაშრომი „რამდენიმე სიტყვა“, რომელშიც ფართოდაა გამოყენებული სპარსული, სომხური, არაბული, ბერძნული, ებრაული წყაროები.

„რამდენიმე სიტყვის“ შესახებ მუხრანი წერდა: „შეიძლება ვინმემ თქვას: – ეგ, რა პოეტის საქმეაო?! ვერ დავეთანხმები! – სიტყვასთან დაკავშირებული რაცაა, პოეტის საქმეა ყველაფერი. შემთხვევით როდია პოეტის ძველქართული სახელწოდება „სიტყვისმოქმედი“.

აღნიშნული ოთხტომეული ბატონმა კახმეგმა მაჩუქა მუხრანის დასტურით: ბოჯგუს (ასე მეძახდა!) ეკუთვნისო.

განვიზრახე იმ გამოცემის რეცენზირება, მთლიანად ვერ შევბედე, მხოლოდ ის ლექსები და წერილები განვიხილე, რომლებითაც პოეტი მშობლიური ენის პატივისცემასა და სიყვარულს გვასწავლის. წერილი მთელ გვერდზე დაიბეჭდა „მწერლის გაზეთში“ (2008, №4) სათაურით „ზღვა როა, – იმოდენაა!“

„ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა,
იმოდენაა!

ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ბატონმა მუხრანმა შინ დამირეკა და მადლობა გადამიხადა „მწერლის გაზეთში“ დაბეჭდილი წერილის გამო. ის ხომ მუხრანის 79-ე დაბადების დღეს ეძღვნებოდა!

ერთხელ ბატონობით მივმართე მუხრანს ვიწრო წრეში. შემომწყრა თავისი ბუხუნა ხმით: არა გრცხვენია, ჩემო გივი, რა ბატონობით მელაპარაკებიო!

თავმდაბალი იყო დიდი პოეტი.

შევბედე და ვკითხე: – შვიდი ქართული სიტყვის გამო რამ დაგაწერინა (პირველად ხელნაწერის სახით გამოვიდა) ამხელა ენათმეცნიერული ნაშრომი-მეთქი?

– სიყვარულმაო!

* * *

თითქოს უბრალო, მაგრამ ერთობ ორიგინალური იყო მუხრან მაჭავარიანის საიუბილეო საღამო, რომელიც პოეტის 80 წლისთავს მიეძღვნა და 2009 წლის 17 დეკემბერს ჩატარდა თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრში. თაყვანისმცემლებით გაძეძგილი დარბაზი ორჯერ დაუდგა ფეხზე იუბილარს ნიშნად სიყვარულისა. ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს პოეტისთვის! მაშინ შეგვპირდა მუხრანი – 5 წლის შემდეგ კიდევ შევხვდებითო ერთმანეთს. ვაგლახ, ზუსტად 5 თვეში დაგვემშვიდობა სამუდამოდ...

მეამაყებოდა, რომ დიდმა პოეტმა იუბილეზეც მიმიწვია და საზეიმო ვახშამზეც.მე კი საჩუქრად მივართვი კოხტა ჩარჩოში ჩასმული და ლამაზად შეფუთული მისი ფოტოსურათი, რომელზედაც იგი ქრისტეს ასაკისა იყო და ჩემს საოჯახო არქივში 50 წელიწადს ვინახავდი.

* * *

ბოლო ზარი ტელეფონით – 2010 წლის 12 აპრილს მივულოცე 81-ე წლისთავი. უხასიათოდ იყო თითქოს. არც ბოჯგუ უთქვამს, არც – ჩემო გივი. მეც აღარ შევაწუხე...

* * *

გადაწყდა! მიუხედავად იმისა, რომ მთაწმინდის პანთეონი დახურულად იყო გამოცხადებული, მუხრანისთვის „მოიძებნა“ ადგილი დიდი ილიას თანავარსკვლავედში, სადაც კიაფობენ ანა კალანდაძე, ნოდარ დუმბაძე, ოთარ ჭილაძე და ამიერიდან იბრწყინებს მუხრან მაჭავარიანიც.

მინდა იმედი მქონდეს, რომ ეს თანავარსკვლავედი უფრო ძალუმად აკაშკაშებდა მურმან ლებანიძისა და შოთა ნიშნიანიძის სამთაწმინდო უკვდავი სულებით.

გივი ბოჯგუა



# ტკივილი მეგობრის დაკარგვისა...

ორმოცი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ჩემო მუხრან! დააკლდი ოჯახს, სამშობლოს ჩვენსას, ღვთივკურთხეულს, ერსა და ბერს, სამეგობროს...

თვალწინ გვიდგას შენი სახე დაფიქრებული, სამშობლოს ჭირვარამის გამზიარებელი. ხანდახან ღიმილი თუ გადაგკრავდა სახეზე, თუმცა წამიერად. სიარულზეც კი გეტყობოდა სიყვარულის სიმძიმე სამშობლოსი.

შენს ლექსზე თაობები იზრდებოდნენ, იმუხტებოდნენ მუხტით – ეროვნულით, ჯიშ-ჯილაგის ტრადიციული სიწმინდის მრწამსდაძაგრულთ ხელი ხმლის ვადაზე ედოთ... აუხდათ კიდეც, თავისუფალია საქართველო, თუმცა, ჯერჯერობით დაკბეჩილი და სამაჩაბლოგულამოგლეჯილი შინაური და გარეული მტრების წყალობით. ამასაც ეშველება, უფლის ნებითა და ქართველთა ერთად დგომით. შევიგნოთ მთავარია!

ამაზე დარდმა წაგაქცია ქართველი ქართულ დედა-სცენაზე ქართული სიტყვის თქმად ასული ისევ ქართველისადმი და დარდადვე გაგყვა დაღლილს მთაწმინდაზე შენივე ერის მიერ ხელში აყვანილს განსასვენებლად. მთაწმინდამაც კიდევ ერთხელ შეიხსნა საკინძე და ჩაგიხუტა რაინდი პოეზიისა, კაცი – ქართველი, ბურჯი – სამეგობროსი...

როგორც უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს პატრიარქმა ბრძანა „შენ ღირსეულად ატარე ერის ჯვარი!“ გფარავდეს მისი მადლი მანდ, წმინდა სასუფეველშიც, ამინ!

ეჰ, უკვე ორმოცი დღე გასულა, რაც ბატონი მუხრან მაჭავარიანი სამშობლოს დედაქალაქის მთაწმინდაზე დასახლდა.

ნათელში ამყოფოს ზეციერმა სული მისი ქრისტიანულ – მართ(ა)ლმადიდებლური, ქართული. ამინ!

ომარ სეფეს ძე წერეთელი,
საჩხერე-ჭორვილა.
წელი 2010. თიბათვის – 24.

# მეხდანაცემი მუხასავით...

ორმოცი დღის წინათ რუსთაველის თეატრში, ქართული პოეზიის დამფასებელმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. სხვებთან ერთად დარბაზში ქართული პოეზიის მშვენება მუხრან მაჭავარიანიც ბრძანდებოდა. მან სცენაზე ჯეირანივით შეაბიჯა და სიტყვის სათქმელად მოემზადა. უეცრად, ეს მუხასავით კაცი შეტორტმანდა და მეხდანაცემივით სცენაზე დავარდა. ამ მოულოდნელი უბედურებისაგან ხალხი გაოგნებული დარჩა. ასე საოცრად გამოემშვიდობა დიდი მამულიშვილი მის საყვარელ ერს.

ქართველმა საზოგადოებამ საკადრი პატივი მიაგო ჭეშმარიტად დიდ მოლექსეს. ქართულმა ეკლესიამ მისი ცხედარი, სამების წმინდა ეკლესიიდან გამოასვენა. ხალხმა კი მუხრან მაჭავარიანის ცხედარი, სამების ეკლესიიდან მთაწმინდის პანთეონამდე ხელით ატარა. მას მთელი საქართველოს ცრემლი გაჰყვა. იმ დღეს მუხრან მაჭავარიანს სრულიად საქართველო დიდი გულისტკივილით გამოეთხოვა. ღმერთი გაანათლებს მუხრან მაჭავარიანის სულს. ამინ.

დურმიშხან ცინცაძე, ლევგ გიორგობიანი

## საქვეყნო ულელში

**ახლა, როცა ამ შეშლილ, შეშლილ სამყაროში ყველაფერი ისეა არეული, ყველაფერი ისეა თავდაყირა დაყენებული, რომ მყარი, უცვლელი ზნეობრივი ღირებულებები თითქმის აღარც კი არსებობენ, მე ერთ ისეთ ორგანიზაციაზე მინდა ვისაუბრო, რომელიც ბეჯითად იცავს ტრადიციულ ზნეობრივ ღირებულებებს, ყოველნაირად ცდილობს ქართული ეროვნული ცნობიერების ამაღლებას და განმტკიცებას, ილიას უკვდავი დევიზის — „მამული, ენა, სარწმუნოება" ცხოვრებაში გატარებას. ეს ორგანიზაცია არის საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია, რომელიც ადრე საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოებად იწოდებოდა. დღეს ამ ორგანიზაციის სახელწოდებაც და საქმეებიც მთელი საქართველოს ინტელიგენციის რჩეულმა ნაწილმა იცის და, თუ ვინმემ არ იცის, იმათ გასაგონად ვიტყვი:**



მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარე, იუბილარი, ქალბატონი ლია ნადარეიშვილი (შუაში).

# ძალა მწიგნობრობისა...

ეს ორგანიზაცია 1974 წლიდან არსებობს და მას სხვადასხვა დროს ჩვენი ერის ისეთი სასიქადულო ადამიანები ხელმძღვანელობდნენ, როგორებიც იყვნენ: აკად. ევგენი ხარაძე, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, საქართველოს გამომცემლობათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რევაზ ლლონტი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე (საზოგადოების ხელმძღვანელებიძ, ცნობილი ჟურნალისტები: დავით კაკაბაძე და გურამ ბუხნიკაშვილი (თავმჯდომარის მოადგილეებიძ, რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმის წევრები: აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე, აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, პროფესორები: თენგიზ ბუაჩიძე და ლევან თოიძე, ქართული კულტურის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი აკაკი ძიძიგური და მრავალი სხვა.

ამჟამად საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარეა ქართული წიგნის ნამდვილი ქომაგი და მოამაგე, ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე, ცნობილი ჟურნალისტი და რედაქტორ-გამომცემელი, მრავალი ტიტულითა და ჯილდოთი დამშვენებული ქალბატონი ლია ნადარეიშვილი (აღარაფერს ვიტყვი მის დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, მის საქმიანობაზე სახელისუფლო ორგანოებში და ა.შ.ძ.

ქალბატონი ლია თითქმის ორი ათეული წელია, რაც ამ ორგანიზაციას უდგას სათავეში და ამ ხნის განმავლობაში ბევრი სასიკეთო საქმეც აქვს მას და მის ორგანიზაციას გაკეთებული, მაგრამ მე მაინც, პირველ რიგში, ის ავადმოსაგონარი წლები მინდა გავიხსენო, როცა საქართველოში ძმათა მკვლელი ომი მძვინვარებდა, როცა ყველაფერი ინგრეოდა და ნადგურდებოდა, რასაც კი რაიმე მატერიალური ან სულიერი ღირებულება გააჩნდა, როცა ადამიანებს აწუხებდათ შიმშილი, სიცივე, უგზოობა, უშუქობა, უხელფასობა, როცა ადამიანები ცხოვრობდნენ შიშის, უიმედობისა და სასოწარკვეთილების ატმოსფეროში, სწორედ ამ გაუსაძლის პირობებში არსებობდა დაწესებულება, სადაც შეკრებილი ადამიანები თავს მშვიდად და დაცულად გრძნობდნენ, სადაც მსჯელობდნენ იმაზე, რაზედაც გარეთ არავის ეცალა სალაპარაკოდ, ანუ მსჯელობდნენ სულიერებაზე, სიკეთეზე, მშვენიერებასა და ჭეშმარიტ ღირებულებებზე. იცვლიდნენ რა გარემოს, ამ ადამიანებს უბრუნდებოდათ ადამიანური სითბო, ურთიერთსიყვარული და პატივისცემა, უბრუნდებოდათ კეთილი ღიმილი და ესახებოდათ მომავლის იმედი. ამიტომ იყო, რომ ისინი ისე ეტანებოდნენ ამ ორგანიზაციას, როგორც ოაზისს უდაბნოში, როგორც ჰაერს უჰაერო სივრცეში, როგორც სითბოს სიცივეში... და ა. შ. რა ბედნიერებაა, რომ ამ ორგანიზაციამ ეს მიმზიდველობა და ხიბლი დღემდე შეინარჩუნა.

ქალბატონმა ლია ნადარეიშვილმა თავისი ავტორიტეტითა და პიროვნული ხიბლით მოახერხა ის, რომ ასოციაციის ხშირი სტუმრები იყვნენ დიდებული ანა კალანდაძე, პროფ. სოლომონ ხუციშვილი, პროფ. ლევან მენაბდე და მრავალი სხვა. ამჟამად ასოციაციის საქმიანობაში აქტიურად არიან ჩართული ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორებიც არიან: აკად. მარიამ ლორთქიფანიძე, პროფ. ნანა ხაზარაძე (პრეზიდიუმის წევრიძ, პროფ. დალი ფანჯიკიძე, აკად. ლეო ჩიქავა, ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი გურამ გოგიაშვილი, პროფ. რაფიელ ჩიქოვანი, პროფ. ოთარ ჟორდანია, პროფ. თეიმურაზ ფანჯიკიძე, პროფ. ფარნაოზ ლომაშვილი, ფონდ „იავნანას" აღმასრულებელი დირექტორი გურამ ახალაია და მრავალი სხვა.

მწიგნობართა ასოციაცია რამდენიმე ძირითადი მიმართულებით წარმართავს თავის მუშაობას: პირველი - ეს არის ახალი წიგნების პრეზენტაცია.

წიგნების პრეზენტაციაზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება საგანგებოდ არ გამოვყოთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ეპისტოლეების ტომეულთა პრეზენტაცია, მისივე ეპისტოლეებიდან ამოკრეფილი და გიორგი შიხაშვილის მიერ ცალკე წიგნად გამოცემული „მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ" წარდგინება. აქვე ისიც მინდა გავიხსენო, რომ იმ „ცხელ" დღეებში, როცა ქართველთა და აფხაზთა კონფლიქტმა ზენიტს მიაღწია, მწიგნობართა ასოციაციაში, მისი თავმჯდომარის ქალბატონ ლია ნადარეიშვილის ინიციატივით, შეიქმნა პოლიტოლოგთა კლუბი (ხელმძღ. — პროფ. ვაჟა კეშელავა), რომელიც ცნობილ პოლიტოლოგთა მონაწილეობით იხილავდა კონფლიქტოლოგიის თეორიისა და პრაქტიკის უაქტუალურეს საკითხებს.

ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ასოსიაციის საქმიანობისა არის მინიატიურული წიგნების გამოცემა. მინდოდა ამ წიგნების ჩამოთვლა, მაგრამ, რომ ჩამოვწერე, მივხვდი, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა. ყველა ამ ულამაზესი, მხატვრულად უზადოდ გაფორმებული და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნის მთავარი რედაქტორი ქალბატონი ლია ნადარეიშვილია.

და კიდევ ერთი სფერო — ეს არის მწიგნობართა ასოციაციის ყოველწლიური ორგანოს „მწიგნობრის" გამოცემა. იგი 1980 წლიდან გამოდის და მოგვითხრობს მწიგნობრებსა და მათ საქმიანობაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. „მწიგნობრის" მთავარი რედაქტორია ცნობილი მწერალი და მეცნიერი, პროფესორი ნოდარ ტაბიძე. ქალბატონი ლია ნადარეიშვილი ამ ალმანახის სარედაქციო საბჭოს წევრია.

ზემოთ მე მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის საქმიანობაზე ვისაუბრე. ახლა მინდა ისიც ვთქვა, რომ გამგეობასთან 2007 წელს შეიქმნა მწიგნობართა კლუბები ინტერესების მიხედვით. „მწიგნობარ ქალთა კლუბი" (ხელმძღ. — ნელი გურგენიძეძ, „ლიტერატორთა კლუბი" (ხელმძღვანელები — პროფ. გურამ ბენაშვილი და პროფ. ნესტან სულავაძ, „ჟურნალისტთა კლუბი" (ხელმძღ. — ნოდარ ტაბიძეძ, „კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა კლუბი" (ხელმძღვანელები — ცნობილი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე და პროფ. რეზო ბალანჩივაძეძ. პოლიტოლოგთა კლუბი (ხელმძღ. — პროფ. ვაჟა კეშელავაძ. სამწუხაროდ, ერთ პატარა საგაზეთო წერილში ვერაფერს ვიტყვი ამ კლუბების უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი მუშაობის შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნული საქმიანობისა, მწიგნობართა ასოციაციაში ეწყობა სხვა სახის ღონისძიებებიც, ისეთები როგორიცაა: შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, წიგნების გამოფენა ამა თუ იმ ბიბლიოფილის (მაგალითად, მამია ხარაზის, გურამ ახალაიას) კოლექციიდან, ქართული ექსლიბრისის ცალკეული ნიმუშების გამოფენა.

ყოველივე ზემონათქვამი, ცხადია, ბოლომდე ვერ ასახავს იმ დიდ და უაღრესად საინტერესო მუშაობას, რომელსაც ეს ორგანიზაცია, რაგინდ საკვირველიც არ უნდა იყოს, ყოველგვარი დაფინანსების გარეშე ახორციელებს. დიახ, დიახ, მთელი ეს საქმიანობა ისე ტარდება, რომ ასოციაციას არავითარი სახელმწიფო სუბსიდია არ გააჩნია. არადა, დღეს ამ ორგანიზაციის ამგვარი უგულებელყოფა ჩვენი ცხოვრების კიდევ ერთი პარადოქსია. დღეს ხომ იგი იგივე საქმეს აკეთებს, რასაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება აკეთებდა ილია ჭავჭავაძის დროს და მისი ხელმძღვანელობით... ჩვენი ახალგაზრდების დიდ ნაწილს, სამწუხაროდ, არათუ წაკითხული არა აქვს ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვათა ძირითადი ნაწარმოებები, არამედ მათი ჩამოთვლაც არ შეუძლიათ (ამაზე უკვე ტელევიზიამაც დაიწყო ლაპარაკიძ. მარტო კომპიუტერი საქმეს ვერ შველის. თუ შენი ენა და მამული გიყვარს, „ოთარაანთ ქვრივს" და „ბაში-აჩუკს" მარტო ფილმის სახით კი არ უნდა უცქერდე, არამედ უნდა კითხულობდე კიდეც. თანაც თაობათა ცვლა არ წყდება. ყოველ თაობას თავისი მომსახურება უნდა.

ამგვარ სიტუაციაში ფასდაუდებელია მწიგნობართა ასოციაციის როლი და მნიშვნელობა წიგნის პროპაგანდის საქმეში. წინათ წიგნის მოყვარულთა საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები მოქმედებდა მთელი ქვეყნის ფარგლებში. ახლა, სამწუხაროდ, მათი ნაწილია მხოლოდ დარჩენილი.

აი, ამ ფონზე კიდევ უფრო უკეთ იკვეთება მწიგნობართა ასოციაციის თანამშრომელთა ენთუზიაზმი და საქმისადმი თავდადება. სწორედ ამიტომ მინდა დიდი მადლიერება გამოვხატო თითოეული მათგანის მიმართ. ესენი არიან: ლეილა ბარაბაძე — მთავარი სპეციალისტი წიგნის პროპაგანდის დარგში, ქალბატონი, რომლის ერთგულება და თავდადება მისდამი მინდობილი საქმისადმი ცოტა ანაქრონიზმადაც კი გამოიყურება თანამედროვე ტოტალური უპასუხისმგებლობისა და გულგრილობის პირობებში. საგამომცემლო განყოფილების გამგე და ალმანახ „მწიგნობარის" პასუხისმგებელი მდივანი, თავისი საქმის დიდი პროფესიონალი შოთა კოზიაშვილი, საოცრად გემოვნებიანი ჟურნალისტი, უფროსი რედაქტორი სოფიო კოზიაშვილი, რედაქტორი (გაჭირვების შემთხვევაში კორექტორის საქმესაც რომ ითავსებსძ რუსუდან ბულესკერია, საერთო განყოფილების გამგე, საოცრად აქტიური და ენერგიული ადამიანი თინათინ გურგენიძე. აქვე მინდა გავიხსენო საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ამ ცოტა ხნის წინათ განსვენებული ქალბატონი ლიანა ჭანტურია.

ყველა მათგანი (ცხადია, ასოციაციის თავმჯდომარესთან ერთადძ სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოთი — „ღირსების ორდენით" არის დაჯილდოებული.

დაბოლოს, მინდა მოკლედ შევაფასო მწიგნობართა ასოციაციის თანამშრომელთა საქმიანობა და დავსვა კითხვა: რა არის ეს? რა ჰქვია ყველაფერ ამას? არ მინდა, ძალიან ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ, რასაკვირველია, ამას ჰქვია სიკეთის ქმნის ნება, საქმისადმი ერთგულება და თავდადება, საკუთარი ქვეყნის, საკუთარი კულტურის სიყვარული, რომელიც ასე მოჭარბებულად აქვს ამ ორგანიზაციის თითოეულ წევრს და უპირველესად, მის ხელმძღვანელს, დიდებულ ქალბატონს ლია ნადარეიშვილს!

ბარაქალა მათ საქმეს, ბარაქალა მათ მამულიშვილობას!

ღმერთი იყოს მათი შემწე და მფარველი.

**რეზო ბალანჩივაძე,**
**ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი**

## ფეხბურთი

# ძალიანაც არ უნდოდათ...

**მაშ ასე, სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე ერთი ტოპ-წყვილი უკვე შეიქმნა: გერმანია-ინგლისი! ძალიან კი ცდილობდნენ, ერთმანეთს არიდებოდნენ, მაგრამ უძლურნი აღმოჩნდნენ, რადგან საკუთარ ბედს უკანასკნელ ტურში მათთან ერთად სხვებიც წყვეტდნენ.**

თავდაპირველად ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენლებმა გაიხარეს, რომელთა იტალიელ თავკაცს ფაბიო კაპელოს სლოვენიელებთან ყოფნა-არყოფნის მატჩის წინ გვარიანი საფიქრალი გაუჩინა საკადრო პრობლემებმა. საბოლოოდ მან არჩევანი „ვესტ ჰემის" სტოპერ აპსონზე, „ტოტენჰემის" მეგოლე დეფოზე და „ასტონ ვილას" მარჯვენაფლანგელ მილნერზე შეაჩერა და, რომ იტყვიან, ათიანში გაარტყა. 23-ე წუთზე ამ უკანასკნელმა, რომელიც სასტარტო შემადგენლობას ამერიკელებთან ჩაფლავებული პირველი ტურის შეხვედრის შემდეგ დაუბრუნდა, მეტოქის საჯარიმო მოედნის ცენტრში ჩაჰკიდა ბურთი და იქ უკვე დეფომითამაშა მარჯვედ დასწრებაზე — 1:0. კიდევ ერთი ზუსტი დარტყმაც და



ალბიონელები ჯგუფში პირველ ადგილს გაინაღდებდნენ, მაგრამ რუნიმ, ჯერარდმა და ლამპარდმა არა ერთი ხელსაყრელი მომენტი გაანიავეს. სასჯელმაც არ დააყოვნა — პარალელურად მიმდინარე აშშ-ალჟირის დუელის უკანასკნელ წუთზე დონოვანმა ახლო მანძილიდან დაამწუხრა არაბები — 1:0 და სამართალს პური აჭამა.

სამართალი იმიტომ გავიხსენეთ, რომ შესვენებამდე ბრედლის გუნდს, ამ მსოფლიო ჩემპიონატზე უკვე მეორედ, არ ჩაუთვალეს წესების დაცვით გატანილი გოლი (დემპსიძ და კინაღამ ფორუმი დაატოვებინეს.

რაც შეეხება გერმანიას, მას მხსნელად თურქული ფესვების ნახევარმცველი ოზილი მოევლინა, რომელმაც მე-60 წუთზე დალაშქრა განელთა კარი, ხოლო მანამდე აფრიკელთა ბომბარდირმა გიანმა რამდენჯერმე აპატია ევროპელთა უკანახაზელებს უხეში შეცდომები.

დამარცხების მიუხედავად, „შავი კონტინენტის" შვილებმა მაინც მოიპოვეს მერვედფინალის საგზური, რასაც ავსტრალიელებს უნდა უმადლოდნენ. პიმ ვერბეკის შეგირდებმა ხმაურიანად გაიჯახუნეს კარი სერბების ძლევით — 2:1 (კეჰილი, ჰოლმანი; პანტელიჩიძ და ბალკანელებს პლეიოფის გზაზე წითელი შუქი აუნთეს.

## ჩოგბურთი

# სამდღიანი მარათონი უიმბლდონზე

**ასეთი რამ ჩოგბურთის ისტორიაში არ მომხდარა — უიმბლდონის ტურნირზე ამერიკელი ჯონ ისნერისა და ფრანგი ნიკოლა მაუს შეხვედრა სამ დღეს გაგრძელდა. ასპარეზობის სტარტზე მათი ორთაბრძოლა მაშინ შეწყდა, როცა ანგარიში იყო 2:2. მეხუთე სეტში 118 გეიმის შემდეგ (უიმბლდონზე გადამწყვეტ სეტში ტაიბრეიკები არ თამაშდებაძ ანგარიში გახდა 59:59, ორთაბრძოლა 10 საათს გაგრძელდა, რაც აბსოლუტური რეკორდია. აქამდე მსოფლიოს მიღწევა 6 საათი და 33 წუთი იყო, რომელიც ფრანგების — ფაბრის სანტოროს და არნო კლემანის მატჩში დაფიქსირდა 2004 წელს როლან გაროსზე.**

**მეორე წრე. კაცები.** როჯერ ფედერერი (შვეიცარიაძ — ილია ბოჟოლიაკი (სერბეთიძ 6:3, 6:7, 6:4, 7:6, არნო კლემანი (საფრანგეთიძ — პეტერ ლუჩაკი (ავსტრალიაძ 6:7, 6:3, 6:3, 6:4, ფელისიანო ლოპესი (ესპანეთიძ — რიკარდას ბერანკისი (ლიტვაძ 7:5, 4:6, 6:3, 6:4, ტომას ბერდიხი (ჩეხეთიძ ბენჯამინ ბეკერი (გერმანიაძ 7:5, 6:3, 6:4.

**ქალები.** კიმ კლაისტერსი (ბელგიაძ — კაროლინა შპრემი (ხორვატეთიძ 6:3,6:2, მარია კირილენკო (რუსეთიძ — შენაი პერი (აშშძ 6:1, 6:4, ჟუსტინ ანენი (ბელგიაძ — კრისტინა ბაროისი (გერმანიაძ 6:3, 7:5, ნადია პეტროვა (რუსეთიძ — იუნ იან ჩანი (ტაივანიძ 6:3, 6:4, ელენა იანკოვიჩი (სერბეთიძ — ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადაძ 4:6, 6:2, 6:4, მარიონ ბარტოლი (საფრანგეთიძ — პეტრა მარტიჩი (ხორვატეთიძ — მარტიჩის უარი, ვენუს უილიამსი (აშშძ — ეკატერინა მაკაროვა (რუსეთიძ 6:0, 6:4.





# ხიდები აღდგება, მსხვერპლს კი ვერავინ გააცოცხლებს...

**ხიდებს ვაშენებთ, ხიდები გვენგრევა!.. გაივიფიქრე, როდესაც სოფელ გლდანთან, მდინარე გლდანულაზე ხიდის ჩანგრევა გვამცნეს. მდინარემ ხიდს საყრდენი კედელი მაშინ გამოაცალა, როდესაც მასზე ავტომანქანა გადადიოდა. ხიდის ჩანგრევის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა, ავტომანქანაში მყოფი 4 წლის ბავშვი კი სხეულის დაზიანების გამო კლინიკაში მოათავსეს.**

ხიდის დათვალიერება-მონიტორინგს ახორციელებდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ბეტეკი“, რომელსაც ხიდების მოვლა-შენახვა ევალება. საგზაო დეპარტამენტის მესვეურთა განმარტებით, დათვალიერების შედეგად დილით რაიმე დეფექტი არ შეუნიშნავთ, საღამოხანს წყლის სიმაღლემ 8 მეტრს გადააჭარბა და ხიდს საყრდენი გამოაცალაო.

ამ ფაქტის შესწავლის მიზნით შექმნილი კომისია, რომელიც ჩამონგრევის მიზეზებს შეისწავლის.

გლდანში ჩამონგრეული ხიდების აღდგენითი სამუშაოები ერთ კვირაში დაიწყება. მაგრამ მსხვერპლს ვინ გააცოცხლებს? ისმის კითხვა: შეიძლებოდა თუ არა თადარიგის დაჭერა, ანუ ხიდის დანგრევამდე წინასწარი ზომების მიღება? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. მით უფრო, რომ პირველი ხიდი 1980-84 წლებშია აშენებული და ექსპლუატაციაში შესული. მაგრამ ჩვენ რატომღაც ძველი გვავიწყდება და ახალ მშენებლობას ვიწყებთ ზარზეიმით. იქნებ სჯობდა, ე. წ. შუშის ხიდის აგებას, ისევ და ისევ ძველი ხიდების გამაგრებაზე გვეზრუნა და სათანადოდ ჩაგვეტარებინა დათვალიერება-მონიტორინგი?

იმედი გვაქვს, კომისია საგულდაგულოდ შეისწავლის ამ



ამავე მიმართულებაზე, გლდანი-თიანეთის გზაზე სტიქიამ მეორე ხიდიც დააზიანა, თიანეთში მიმავალი ტრანსპორტი კი შემოვლითი გზით მოძრაობს. ამბობენ, რომ ორივე ხიდზე ბურჯები გამოირეცხა. მუშაობს კო-

საკითხს და სათანადო დასკვნას გამოიტანს, რომელიც სამომავლოდ ჭკუის სასწავლებელი გახდება.

**ნატა ნიბლაძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

ხსოვნა

# აკადემიკოსი სიმონ ხეჩინაშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართული სამედიცინო საზოგადოების უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი სიმონ ხეჩინაშვილი.

სიმონ ხეჩინაშვილი 1919 წლის 26 ნოემბერს დაიბადა ქუთაისში. საშუალო განათლება იქვე მიიღო. 1944 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა. ბატონი სიმონ ხეჩინაშვილი 1946-დან 1950 წლამდე მუშაობდა თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ოტოლარინგოლოგიის კათედრის ასისტენტის, 1951-დან 1988 წლამდე კათედრის გამგის, 1979-დან 1988 წლამდე რექტორის, 1989-დან 2000 წლამდე რექტორის მრჩევლის, ხოლო 2001 წლიდან გარდაცვალებამდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის ოტოლარინგოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.



სადოქტორო დისერტაცია სიმონ ხეჩინაშვილმა 1950 წელს დაიცვა.

ბატონი სიმონი ხანგრძლივი დროით სამეცნიერო მივლინებებით იმყოფებოდა ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და გერმანიაში.

ბატონი სიმონი რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი გახლდათ. იგი არჩეული იყო გერმანიის ბუნებისმეტყველთა აკადემიის უცხოელ წევრად, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის ოტოლარინგოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრად, ბერლინის ჰუმბოლტის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

აკადემიკოსმა სიმონ ხეჩინაშვილმა ქართულ სამეცნიერო ოტოლარინგოლოგიაში მთელი ეპოქა შექმნა. როგორც აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის სკოლის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა წარმომადგენელმა, მან პირველმა დანერგა კლინიკურ ოტოლარინგოლოგიაში ფიზიოლოგიური აზროვნება, პირველმა დაამკვიდრა დარგში ბერიტაშვილისეული მეთოდოლოგია და თეორიული კონცეფციები.

ბატონი სიმონი ყურის რეკონსტრუქციული მიკროქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მან ერთ-ერთმა პირველმა გააკეთა ოტოსკლეროზის ოპერაცია და ათასობით სმენადაქვეითებულს დაუბრუნა სმენა. ენდოლარინგოლოგიური ქირურგია და ლაზეროქირურგია საქართველოში მისივე ძალისხმევით დაინერგა.

აკადემიკოს სიმონ ხეჩინაშვილის მონოგრაფიები და ასეულობით სამეცნიერო ნაშრომი მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტების მიერ არის აღიარებული. მის ერთ-ერთ მონოგრაფიას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემია აქვს მინიჭებული. იგი ასევე გახლდათ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში.

ბატონი სიმონ ხეჩინაშვილის დიდი რუდუნებით დაარსდა და თანამედროვე დანადგარებით აღიჭურვა ლაბორატორია, რომელიც ამჟამად აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრად იწოდება. საქართველოს მეცნიერული და კლინიკური აუდიოლოგიის, კერძოდ კი სასმენი აპარატებით სმენის რეაბილიტაციის ინსტიტუტის დაარსება უშუალოდ ბატონი სიმონის სახელს უკავშირდება.

აკადემიკოს სიმონ ხეჩინაშვილის ხელმძღვანელობით არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია არის დაცული.

ბატონი სიმონი თბილისის საპატიო მოქალაქე გახლდათ.

აკადემიკოს სიმონ ხეჩინაშვილის გარდაცვალება უაღრესად დიდი დანაკლისია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის, მთლიანად საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

ნიკოლოზ გილაური, დიმიტრი შაშკინი, თამაზ გამყრელიძე, ფრიდონ თოდუა, რუსუდან კერვალიშვილი, გიგი წერეთელი, გურამ თევზაძე, ოთარ ნათიშვილი, თეიმურაზ იოსელიანი, კიაზო ნადარეიშვილი, ვაჟა ოკუჯავა, თენგიზ ონიანი, ნოდარ ყიფშიძე, მიხეილ ხანანაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ლაური მანაგაძე, ქეთევან ნემსაძე, ზურაბ ქევანიშვილი, ნიკოლოზ ყიფშიძე, რომან შაქარიშვილი.

# სიმონ ხეჩინაშვილი



ქართულმა მედიცინამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი სიმონ ნიკოლოზის ძე ხეჩინაშვილი. მას დიდი წვლილი მიუძღვის ოტორინოლარინგოლოგიის დარგის განვითარებაში. ბატონი სიმონი 1979 წლიდან არჩეულ იქნა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რექტორად. იგი გახლდათ ღვაწლმოსილი და შეუდარებელი პედაგოგი, რომლის ხელმძღვანელობითაც მრავალი სახელმოხვეჭილი ექიმი აღიზარდა. მისი ავტორობით გამოცემულია მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და მონოგრაფია. აკადემიკოს სიმონ ხეჩინაშვილის — მრავალმხრივ განათლებული პიროვნების, შესანიშნავი მოქალაქისა და ჭეშმარიტი პატრიოტის გარდაცვალება უაღრესად დიდი დანაკლისია მთლიანად საქართველოს სამედიცინო საზოგადოებისათვის.

საქართველოს მთავრობა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

SIC!

# „ზუგდიდელი“ დევნილები ქალაქში დარჩენას ითხოვენ

**საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილების მიხედვით 2010 წლის იანვრიდან იმ დევნილთათვის, რომელთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართობი, უნდა დაწყებულიყო საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ზუგდიდში ასეთი 20-მდე მრავალსართულიანი კორპუსი უნდა გაერემონტებინათ ან ახალი აეშენებინათ. ამ დროისთვის არავითარი სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს. სამაგიეროდ, ქ. ფოთში — მალთაყვის დასახლებაში, მსგავსი ტიპის სამუშაოები უკვე დაწყებულია.**

ზუგდიდელ დევნილებში გავრცელდა ინფორმაცია: სამეგრელოს მთავარ ქალაქში იმიტომ არ შენდება არაფერი, რომ საცხოვრებელ ფართობებს ფოთში მოგვცემენო. დევნილები კატეგორიული წინააღმდეგი არიან დატოვონ ზუგდიდი. მათ საგანგებო განცხადებით მიმართეს საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარეს ბატონ ოთარ ფაცაციას. დევნილების აღიარებით ზუგდიდში 2500-მდე ლტოლვილი ოჯახია, რომლებიც ცხოვრობენ ნათესავებთან ან ნაქირავებ ბინებში. მათ შორის არიან მოხუცები, პენსიონერები, უმწეოები. თუ მაინცდამაინც დაგეგმილია დევნილთა „გასახლება“ ფოთში, 1000-მდე ოჯახი მაინც დატოვონ, რომელთათვისაც ზუგდიდის დატოვება ხელახალი დევნილობის ტოლფასი იქნება, — ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსი ლევან მიქავა დევნილებში გავრცელებულ ინფორმაციას ჭორს და პროვოკაციას უწოდებს. როდესაც ამ ინფორმაციის კომენტირება ვთხოვე, მან ნერვებიც ვერ მოთოკა, არც იცოდა თუ კი ასეთი აზრი იყო გავრცელებული. მისი თქმით, გამორიცხულია, რომ დევნილები იძულების წესით ერთი ადგილიდან, მეორეზე გადაასახლონ.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი

სიმონ ხეჩინაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 24, 25 VI. მისამართი: ბარნოვის 73. გამოსვენება დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრიდან 15 სთ. დაკრძალვა — დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

---

პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნინელი ფრუიძეს მეუღლის

მურად დუდუჩავას

გარდაცვალების გამო.

---

კირა მიქელაძე და მერაბ ბერძენიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახლო ნათესავისა და მეგობრის ბატონ

სიმონ ხეჩინაშვილის

გარდაცვალებას.

## დედოფლისწყარო

### პირველი სხდომა

**ამ დღეებში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი შემადგენლობა შეიკრიბა და პირველი სხდომა გამართა.**

დეპუტატებმა საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე ლევან ბალაშვილის კანდიდატურა დაასახელეს, ლევან ბალაშვილი ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩიეს საკრებულოს თავმჯდომარედ.

საკრებულოს წევრებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლად ერთხმად გამოუცხადეს ნდობა ნიკოლოზ შანშიაშვილს, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობას ასრულებდა.

### ვიქტორინა

**21 ივნისს დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციაში (საპატიო თავმჯდომარე ვანო ნატროშვილიძ გაიმართა ვიქტორინა, რომელიც მეორე მსოფლიო ომში დაღუპული აქაური ჭაბუკების ხსოვნას მიეძღვნა.**

ასოციაციის წევრებს დაურიგდათ ტესტები, სადაც დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნილი ლექსები შედიოდა (სჭარბობდა ლადო ასათიანის და მირზა გელოვანის პოპულარული ლექსებიძ. ტესტებს სწორი პასუხები გასცეს და ყველაზე მაღალი ქულები დააგროვეს ვალერი ბეგალიშვილმა, ლეილა ყოჩიშვილმა და ნანა მანჯაფარაშვილმა.

ვიქტორინას დიდ ხიბლს მატებდა ასოციაციის წევრების ლია ჩოქურის და მანანა ბოსტოლანაშვილის მიერ ლადო ასათიანის და ირაკლი აბაშიძის ლექსებზე ჩონგურის აკომპანემენტის თანხლებით შესრულებული სიმღერები.

ვიქტორინის დამთავრების შემდეგ ასოციაციის წევრები სოფელ თეთრიწყაროს დიდების მემორიალს ესტუმრნენ და პატივი მიაგეს მეორე მსოფლიო ომში გმირულად დაღუპულ დედოფლისწყაროელი ჭაბუკების ხსოვნას.




### ფრანგული მუსიკის კონცერტი

**ათ წელზე მეტია საფრანგეთის იონას დეპარტამენტი კახეთის რეგიონთან მეგობრობს. ყოველწლიურად გაცვლითი კულტურული ღონისძიებები იმართება ამ ორ ულამაზეს მხარეს შორის.**

ამას წინათ დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ფრანგული მუსიკის კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ მომღერალი სილვენ ლუკენი, მუსიკოსები დილიე კარონი და ჟაკ ლინიონი. მათ მოხიბლეს მსმენელი. განსაკუთრებული ოვაცია გაუმართეს ჟაკ ლინიონს, რომელმაც მაყურებელს ქართული „სულიკო" შესთავაზა.

ფრანგული მუსიკის კონცერტები კახეთის რეგიონის ყველა რაიონში 17-დან 28 ივნისამდე იმართება.

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ" საკ. კორ.**

## დღის კალენდარი

### 25 ივნისი

**ღირსისა იოანე (თორნიკეძ მთაწმინდელისა, სვინგელოზისა (Xძ; ღირსისა ონოფრე დიდისა (IVძ; ღირსისა ისიდორე სამთავნელისა, ცამეტ ასურელ მამათაგანისა (VIძ; ღირსთა: იოანესი, ანდრიასი, ირაკლემონისა და თეოფილესი (IVძ; ღირსისა პეტრე ათონელისა (734ძ.**



**ამოდის 04.28**
**ჩადის 19.40**

**ამოდის 19.09**
**ჩადის 20.01**

### დაიბადნენ:

**1903 – ჯორჯ ორუელი,** ინგლისელი მწერალი, პუბლიცისტი. გარდაიცვალა 1950 წელს.

**1907 – იოჰანეს დანიელ იენსენი,** გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1973 წელს.

**1911 – უილიამ სტეინი,** ამერიკელი ბიოქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1980 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1822 – ერნსტ ტეოდორ ამადეი ჰოფმანი,** გერმანელი მწერალი.

**1995 – ერნესტ ტომას სინტომ უოლტონი,** ირლანდიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1997 – ჟაკ-ივ კუსტო,** ფრანგი ოკეანოგრაფი, აკვალანგის გამომგონებელი.

### მოვლენები:

**1783 წელი** – ფრანგმა ქიმიკოსმა ანტუან ლორან ლავუაზიემ დაამტკიცა, რომ წყალი შედგება წყალბადისა და ჟანგბადისაგან.

**1788 წელი** – ვირჯინია აშშ-ს მეათე შტატი გახდა.

**1857 წელი** – გამოვიდა ფრანგი პოეტის შარლ ბოდლერის ლექსების კრებული – „ბოროტების ყვავილები".

**1977 წელი** – თევზჭერის დროს მეხი დაეცა ამერიკელ როი სალივანს, რომელსაც მკერდი და მხრები დაეწვა. საერთოდ, მას შვიდჯერ დასცემია მეხი და შვიდჯერვე გადარჩა, რის გამო ის გინესის წიგნში მოხვდა.

**1991 წელი** – ხორვატიამ და სლოვენიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, რაც იუგოსლავიის დაშლის დასაწყისი გახდა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**სლავების ერთიანობისა და მეგობრობის დღე.**

**სლოვენია** – სახელმწიფოებრიობის დღე.

**ჩინეთი, ტაივანი** – გველეშაპის ფესტივალი.

**უკრაინა** – საბაჟო სამსახურის დღე.

**მედიანიუსი**

## კარიკატურა



დედას გეფიცები, ბიჭი ვარ.

ამირან ერაძის ნახატი.

## მკითხველთა საყურადღებოდ!

**ელექტროენერგიის მოწოდებასთან დაკავშირებით შექმნილი ტექნიკური სირთულეების გამო ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი რვაგვერდიანია, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.**

***„სრ" რედაქცია***

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77;
899 32-85-76.



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8871 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3179 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7920 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.0568 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.7803 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2484 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2798 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1422 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6456 ლარი |



## კადრი



## ანეკდოტები

– მარო, გინდა, რომ ერთმანეთს კარგი დასვენების დღეები ვაჩუქოთ? – ეკითხება პარასკევ საღამოს მიხო ცოლს.

– ძალიან მინდა, საყვარელო.

– მაშინ ორშაბათამდე კარგად იყავი.

* * *

მიხომ აფთიაქში პრეზერვატივი იყიდა, ავტობუსების გაჩერებასთან იგი ასფალტზე დააგდო და ზედ ფეხით შედგა.

– რას შვრები, კაცო! – უკვირს მიტოს.



– შარშან ასე დავანებე თავი სიგარეტის მოწევას.

* * *

გვიან ღამით მთვრალი ტიპი სასტუმროში შევიდა, თავის ნომერში ასვლა მოინდომა და ყვირილი ატეხა:

– შვეიცარო, ეს თქვენი ლიფტი რად არ მუშაობს?

– ეს ლიფტი კი არა, ტელეფონის ჯიხურია, ბატონო.

* * *

– ოფიციანტ, ეს რა მომიტანე, ვერ გავირჩევია, ყავაა თუ წუმპე!

– თუ ვერ გაგირჩევიათ, თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

* * *

– ექიმო, კუჭი და თირკმელი მაწუხებს.

– გაიხადეთ.

– რაო, ისე არ მენდობით?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.